16/12/2024

MES 3 24 0001616161

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი, 02/12/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
დასრულების დრო: 17:00 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: კახა შენგელია
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 02 დეკემბერს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** -შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე**-სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ლეშკაშელი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მამუკა ხუსკივაძე**- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **მიხეილ გურგენიძე**- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე**- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
7. **გაიანე სიმონია**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ნინო ჩინჩალაძე**- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

10. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
11. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **სალომე კუჭუხიძე**- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.
13. **თამარ იოსელიანი** - შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.
14. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოსმოწვეული წევრები:

1. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
2. **ჯილდა ჭეიშვილი -** საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. **ნინო გაგუა** - შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;
6. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **კახაბერ ვანიშვილი** -შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
8. **ზვიად კირტავა** -შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;
9. **ივანე ჩხაიძე** -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
10. **ხათუნა ზალდასტანიშვილი**- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. ანი ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
4. ნინო შეყილაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
5. სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6. თათია მამრიკიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
7. მარიამ ქომეთიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თარჯიმანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - ალტე უნივერსიტეტი

რამაზ კუკულაძე - პრეზიდენტი
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევის მიმართულებით
თამარ მახარაძე - ვიცე-პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით
ანი ამირანაშვილი - ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით
ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
ლაშა მაჭარაშვილი - შეფასების სამსახურის უფროსი
ირმა ნოზაძე - საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი
გვანცა დადიანი - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ქეთევან ჩახნაშვილი - მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანი
ეკა აბჟანდაძე - მედიცინის პროგრამების ხელმძღვანელი
რუსუდან სანაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სკოლის დეკანი
ქეთევან ცხადაძე - სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი
ნანა მიქაშავიძე - ბიზნესის სკოლის დეკანი
ლანა დავითულიანი - კვლევის მხარდაჭერისა და პროექტების განვითარების დეპარტამენტის დირექტორი
თორნიკე ბაქაქური - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი
სოფიო იდაძე - ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი
ლაშა ჯანელიძე - სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური გამოცდილების დეპარტამენტის დირექტორი
იოსებ ქურდაძე - იურისტი
გედი გელბახიანი - იურისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

ერიკ ენდრიუ გიბსი (Eric Andrew Gibbs) - (თავმჯდომარე)
ამჯად მოჰისა ქანდილი (Amjad Moh'd Issa Qandil) - (თანათავმჯდომარე)
ეკატერინე ფიფია (წევრი)
ირენა მელუა (წევრი)
დავით თოფურია (წევრი)

ქეთევან კანკავა (წევრი - დამსაქმებელი)
თამთა ცხოვრებაძე (წევრი)
მარიამგორგოძე (წევრი - სტუდენტი)

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ. ხოლო საბჭოს მდივანს წარმოადგენდა დავით ლეშკაშელი.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

- დიახ.

თვითაცილება განაცხადა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ნათია ზედგინიძემ - ჯიშკარიანმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა კახაბერ ვანიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს სხდომის თარგმნა უზრუნველყო ცენტრის თარჯიმანმა მარიამ ქომეთიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, ერიკ ენდი გიბსი (Eric Andrew Gibbs), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა ყოვლისმომცველია და მოიცავს სხვადასხვა საკითხებს, კერძოდ ის ეყრდნობა თვითშეფასებაში ასახულ და ინფორმაციას, ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მისი თქმით, შპს ალტე უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 4 – 7 სექტემბერს. აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაარსდა 2002 წელს, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს „ბიზნესის“, „სამართლის“, „სოციალური მეცნიერებებისა“ და „სამედიცინო“ მიმართულებებით. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის დონე საკმაოდ მაღალია, უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტები ოცდაათამდე ქვეყნიდან. ექსპერტის თქმით, კამპუსი მოიცავს 13,000 კვადრატულ მეტრს. შპს ალტე უნივერსიტეტს აქვს ბევრი სტრატეგიული ინვესტიცია გაკეთებული, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ადგილობრივი საავადმყოფოებთან თანამშრომლობა. დაწესებულების ბიუჯეტი 2024 წლისთვის შეადგენს დაახლოებით 20,000,000 ლარს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი, მეორე და მეექვსე სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე სტანდარტი მეტწილად, ხოლო მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. მისი თქმით, არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულების მიმართ გაიცა 26 რეკომენდაცია და 16 რჩევა. რეკომენდაციები მოიცავს „KPI“ მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფას, პარტნიორობისა და დაფინანსების მეშვეობით ყოვლისმომცველ კვლევებს და ასევე კურიკულუმების გადახედვას. უნივერსიტეტმა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები უკვე გაითვალისწინა. ვიზიტის დროს ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა დაწესებულების დასახული გეგმების შესახებ ინფორმაცია, თუმცა მტკიცებულებების ნაკლებობის გამო ეს უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე პრაქტიკულს. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიმართულება შესაბამისობაშია საქართველოსა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ვიზიტის დროს გამოიკვეთა დაწესებულების მუშაობა ინოვაციებზე. უნივერსიტეტმა გაზომვადი მიზნები უნდა განსაზღვროს და დაგეგმოს მათი შესრულების უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული დაგეგმარება მხარს უჭერს განვითარებას, თუმცა საჭიროა მისი გაუმჯობესება მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება როლების ზუსტად გადანაწილებას აკადემიურ პერსონალს შორის, გარკვეული სახის გადაფარვების არიდების მიზნით. ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა საჭიროა სწავლის შედეგების მიმართულებით მეტი მუშაობა რათა პრაქტიკული და თეორიული სწავლება იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში. ასევე საჭიროა დაწესებულებამ იმუშაოს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებზე. უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, თუმცა საჭიროა კვლევით საქმიანობაში ჩართული აკადემიური პერსონალის არსებობაც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის პოლიტიკის კუთხით კვლევითი საქმიანობის სტიმულიზაციას და მის ხელშეწყობას. შპს ალტე უნივერსიტეტი ატარებს დამაკმაყოფილებელ მხარდამჭერ ღონისძიებებს სტუდენტების დახმარების მიზნით, თუმცა მისი გაუმჯობესება საერთაშორისო მიმართულებითაც შესაძლებელია. მისი თქმით, საჭიროა სტუდენტების ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტის მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით.

ექსპერტების მხრიდან მოწონება დაიმსახურა კვლევითი უნარების კონსტრუქცირებამ და გაუმჯობესებამ, თუმცა აუცილებელია ამბიციური მიზნები და საერთაშორისო კოლაბორაცია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. მასალები და ფინანსური რესურსები სათანადოდ განაწილებულია, თუმცა საჭიროა უნივერსიტეტის მუშაობა მასზე მეტი აქცენტირების მიზნით. დაწესებულება კარგად არის პოზიციონირებული საკუთარ მისიაში, მმართველობასა და რესურსებში, თუმცა იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ტოპ ადგილი დაიკავოს რეგიონში, საჭიროა ჰქონდეს საკუთარი ხედვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
საერთაშორისო ექსპერტმა, ერიკ ენდი გიბსიმ (Eric Andrew Gibbs) მადლობა გადაუხადა კოლეგებს და უნივერსიტეტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები და რჩევები გაიცა იმ მიზნით, რომ დაწესებულება მომავალში სრულად შესაბამისობაში ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ დაამატა, რომ იმ სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები, რომელზეც უშუალოდ თვითონ მუშაობდა უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
შპს ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, ნინო ალავიძე, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ისე ცენტრის თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის. ასევე უნივერსიტეტის პერსონალს დაუღალავი შრომისა და გუნდურობისთვის.
შპს ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ძალიან დიდი პატივი იყო ექსპერტთა ჯგუფის დადებითი შეფასება, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, გამჭვირვალე მმართველობასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს. ასევე აღსანიშნავია ის პროგრესი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა პროცესების გაციფრულებასთან, ეფექტურ კომუნიკაციის საშუალებებთან, პერსონალის მართვასთან, სტუდენტებზე ორიენტირებულ მიდგომასთან, მათი უფლებების დაცვასთან და დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტაცია და ორი სტანდარტის შეფასება შეცვალა, როგორც შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს აღნიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა იმართება ხელოვნურად „Excel“-ის ფაილით. „KPI“-ები ვრცელდება როგორც სკოლებზე, ისე დეპარტამენტებზე. დეპარტამენტები ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ აგზავნიან შესრულების ანგარიშს დირექტორის საბჭოსთან. ეს უკანასკნელი ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს, რომლის განხილვაც შემდეგ ხდება სტრატეგიული გეგმის შესრულების კომიტეტზე, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ერთ-ერთი პარტნიორი. ამ კომიტეტზე მიდის დისკუსია იმის შესახებ თუ რა შესრულდა და რა არ შესრულდა „KPI“-ებთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროცესის მართვა ხელით იმართება და გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, უნივერსიტეტმა შეიძინა ამერიკული პროგრამული უზრუნველყოფა „Spider Impact“-ი, რომელიც „KPI“-ის მფლობელს სრულად გაუადვილებს ამ პროცესის მართვას. ამრიგად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ატარებს რჩევის ხასიათს იმიტომ, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და სრულად დაინერგება მომავალი წლიდან. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა უფრო ამბიციური კვლევითი მიზნების დასახვას, მათი დაფინანსების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პოზიტიურად შეაფასა დაწესებულების კვლევითი მიმართულებების ანგარიში. მისი თქმით, ყოველი წლის მომდევნო წელს უნივერსიტეტი უფრო ამბიციურ მიზნებს დაისახავს იქიდან

გამომდინარე თუ როგორი იქნება მიმდინარე წელს შესრულება. შესაბამისად, დაწესებულება ფიქრობს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევაში. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა აკადემიური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობას განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს ის იყო დირექტორთა საბჭოს და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავდა ვიცე-რექტორი აკადემიური და კვლევითი მიმართულებით. შესაბამისად, როდესაც უნივერსიტეტმა ვიცე-რექტორად დანიშნა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი, მაშინვე გაიყო ფუნქციები. ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ ავტორიზაციის საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულად ჩაეთვალა.

ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო ალავიძემ, მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის ხარისხის ციკლის დახურვას ანგარიშებით, განაცხადა, რომ დასკვნის აღწერითი და შეფასებითი ნაწილი შინაარსობრივად ნაცვლად 3.1 კომპონენტისა ეკუთვნოდა 2.2 კომპონენტს. ასევე ის უფრო რჩევით ხასიათს ატარებდა, ვიდრე რეკომენდაციის. ექსპერტთა მიერ შესრულებული დასკვნის ამ კომპონენტის აღწერითი ნაწილი ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე და პროგრამის განვითარების ფარგლებში „PDCA“ ციკლის დახურვაზე. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „PDCA“ ციკლი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, მათ შორის, პროგრამის შეფასების ჩათვლით განუყოფელი ნაწილია, ის პირველ რიგში უნდა შეფასდეს კომპონენტ 2.2-თან მიმართებით და არა 3.3 კომპონენტის ფარგლებში. სტანდარტი 3.3 უფრო მეტად ფოკუსირებულია დაწესებულების მეთოდოლოგიაზე და მონაწილეობით პროცესებზე. ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე და პროგრამის შემუშავების, განვითარების, შეფასების სხვადასხვა ეტაპებზე. აქ უფრო მეტად გამოყოფილი არის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხი, ვიდრე ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური მექანიზმი, რომელსაც 2.2 კომპონენტი ითხოვს. ალტე უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების სტრუქტურირებული მეთოდოლოგიის განხორციელებით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული პროგრამა შემუშავებული იყოს ინსტიტუციურ მიზნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში. უნივერსიტეტი ამ პროცესში რთავს პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პროფესიულ ასოციაციებს, და პროგრამები შესაბამისობაში მოჰყავს როგორც აკადემიურ, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დაწესებულებაში გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, რომელიც გამოხატულია მათგან როგორც კმაყოფილების კვლევის შეფასებებით, ისე მათთან პირისპირ შეხვედრებით. პროგრამის კომიტეტის ოქმში შესაძლებელია იმის ნახვა, რომ ეს კომიტეტი იხილავს ყველა დაინტერესებულ მხარისგან მიღებულ შეფასებებს, რომელიც მსჯელობს შესაბამისი კურსის ჩამატების, ამოღების თუ საგანმანათლებლო პროგრამაში სხვა ტიპის ცვლილების საკითხის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგადი კმაყოფილების ფარგლებში, არსებული შეფასების ჭრილში, ე.წ. ლუპის ციკლის გამჭვირვალეობის პრინციპით შექმნისთვის, ხარისხის კვლევების პოლიტიკაში 28-ე დანართად გასულ წელს, როდესაც განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დამტკიცდა შესაბამისი ფორმა, სადაც გაიწერა რომელი დაინტერესებული მხარის, რა ინტენსივობით გაიცა ესა თუ ის რჩევა და რეკომენდაცია. ასევე ვინ იყო ამ რჩევის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი და რა ვადაში შესრულდებოდა. შესაბამისად, ეს დოკუმენტი დამტკიცდა იმისთვის, რომ ყველასთვის ღია ყოფილიყო შეფასებების ტიპების შესახებ ინფორმაცია. 3.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღწერილობითი ნაწილი, რეკომენდაციები და რჩევები შეესაბამება მხოლოდ 14 საგანმანათლებლო პროგრამიდან 2 საგანმანათლებლო პროგრამას („მედიცინა“, „სტომატოლოგია“). შესაბამისად, მხოლოდ ორი საგანმანათლებლო პროგრამით შეფასების ნაწილში წარმოდგენას და შემდგომ მათზე რეკომენდაციების გაცემას არ მივყავართ კომპონენტის ზუსტ შეფასებამდე, რადგან უნივერსიტეტი ახორციელებს 14 საგანმანათლებლო

პროგრამას, რომელსაც გავლილი აქვს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შეფასებები. ამ ეტაპზე მხოლოდ 13 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში, ხოლო ერთი საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში კლასტერის ვადით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამებს გავლილი ჰქონდათ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობა. შესაბამისად, დაწესებულების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები შესაბამისია ეროვნულ სტანდარტებთან. ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები როგორიცაა პროგრამის სწავლის შედეგების დახვეწა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის გაძლიერება და ინდივიდუალური სწავლის შედეგების დაზუსტება, წარმოადგენს პროგრამის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, თუმცა ისინი არ მიუთითებს სტანდარტთან ნაწილობრივ შეუსაბამობაზე. ეს არის რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისათვის და არა მოთხოვნები, რომლებსაც ალტე უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს. მისი თქმით, უნივერსიტეტის მიმართ გაცია შემდეგი რეკომენდაციები: „რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა ტექნიკური ასპექტის და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით“, „რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების მიზნების გადახედვა პროგრამის ფართო ხასიათის დაფარვის მიზნით, მათ შორის სწავლება - სწავლის, გავრცელების და საზოგადოებრივი სერვისების ჩათვლით“. ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები თავისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენენ არა რეკომენდაციებს, არამედ რჩევებს. 14 საგანმანათლებლო პროგრამას გავლილი აქვს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შეფასებები. ისინი შესაბამისია დარგობრივ მახასიათებელთან, საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების აღმწერთან. მედიცინისა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამების სწავლის შედეგებისა და მიზნების გადახედვა, შესაძლოა, სასარგებლო იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნას, რადგან პროგრამების სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს კომპლექსური საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. ნებისმიერი ცვლილება, განსაკუთრებით ტექნიკური დახვეწისა და მასშტაბის გაფართოების მიზნით, რათა მოცული იყოს სწავლა, სწავლება, კვლევა და საზოგადოებრივი საქმიანობა, შეიძლება განხილული იყოს როგორც რჩევა გაუმჯობესებისთვის და არა როგორც რეკომენდაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის მე - 12 სემესტრში სანდო პროფესიული აქტივობების (EPAs) შეფასების დანერგვას, როგორც კლინიკურ როტაციებში სტუდენტების მიღწევების გაზომვის უმთავრესი საშუალებას. დაწესებულების აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია რჩევითი ხასიათის მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ სანდო პროფესიული აქტივობების (EPAs) შეფასების დანერგვამ შეიძლება გააძლიეროს კლინიკური შეფასების პროცესი სამომავლოდ, თუმცა რადგან დარგობრივი მახასიათებელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ავალდებულებს ამ შეფასების დანერგვას, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევებში. მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანმა, ქეთევან ჩახნაშვილმა აღნიშნა, რომ 3.2 კომპონენტში მოცემული მე-9 რეკომენდაცია შემდეგი შინაარსით იყო დასკვნაში წარმოდგენილი: „რეკომენდებულია, სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი“. მისი თქმით, დასკვნაში არის ფაქტობრივი უზუსტობა მოცემული, კერძოდ, 3.2 კომპონენტის ქვეშ არსებულ აღწერით ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ სამი სტუდენტი ერთდროულად მუშაობს ერთ საფანტომო თავზე. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ორი სტუდენტი მუშაობს ერთ საფანტომო თავზე ერთდროულად, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტთან. „სტომატოლოგიის“ დარგობრივ დოკუმენტში საფანტომო სწავლებასთან მიმართებაში არ არის რაიმე მოთხოვნა გაკეთებული. მხოლოდ წერია ის, რომ სტუდენტს უნდა შეეძლოს თავისუფლად ფანტომთან მუშაობა. უნივერსიტეტი მაქსიმალურად

ეცადა, რომ საფანტომო სივრცე სრულ შესაბამისობაში წარმოედგინა კლინიკურ საქმიანობის მიხედვით მოწოდებულ სტანდარტთან, რომელიც გულისხმობდა პირველ სავარძელზე 12 კვადრატულს, ხოლო შემდგომ ყოველ განმეორებით სავარძელზე პლუს 6 კვადრატულს. საფანტომო სივრცე ნაცვლად 46 არის 96 კვადრატი. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია ამოღებული უნდა იყოს დასკვნიდან, რადგან დაწესებულება ამ ნაწილში სრულად არის შესაბამისობაში როგორც დარგობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჩახნაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გაუზიარა ერთწუთიანი ვიდეო, რომელშიც მოცემული იყო საფანტომო სწავლების კადრები.

შპს ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო ალავიძემ, ამავე კომპონენტის მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი გამოსწორებულია და ინგლისურენოვანი კატალოგები ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე. მან განაცხადა, რომ ეს საკითხი ეხებოდა ავტორიზაციის 7.3 კომპონენტს ნაცვლად 3.2 კომპონენტისა, რადგან 7.3 კომპონენტი ამბობს შემდეგს: „უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს, მათ შორის, განთავსებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგიც“. მეთერთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შეესაბამებოდა ფაქტობრივ რეალობას და ამოღებული უნდა ყოფილიყო საბოლო გადაწყვეტილებიდან. მისი თქმით, სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები, რამდენიმე წელია წარმატებით უძღვებიან პროგრამას ინგლისურ ენაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მისი ინგლისური ენის ცოდნის საჭირო დონეს. აღნიშნული სერტიფიკატი დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის დროს დამატებით დოკუმენტაციაში. გარდა ამისა, იგი არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტი ოდონტოლოგი და აქვს ინგლისურ ენაზე პროფესიული ტრენინგების ჩატარების გამოცდილება. ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვების შედეგად, რომელსაც დაწესებულება ყოველ სემესტრულად და ყოველ წლიურად ატარებს, მსგავსი ტიპის რეკომენდაცია ან მოსაზრება სტუდენტთა მხრიდან არ ყოფილა, კერძოდ, ინგლისურ ენაზე პროგრამის ხელმძღვანელს ან ლექტორს რომ ვერ განეხორციელებინოს კომუნიკაცია სტუდენტებთან. აღნიშნული რეკომენდაცია წარმოადგენს 4.1. კომპონენტთან მიმართებით გაცემული, N18 რეკომენდაციის დუბლირებას, რომელიც ეხება იმავე საკითხს, ალტე უნივერსიტეტის ყველა პროგრამასთან მიმართებით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ შეესაბამება 3.2. კომპონენტის მოთხოვნებს და იწვევს დუბლირებას, N11 რეკომენდაცია 3.2. კომპონენტიდან ამოღებული უნდა იქნას, რადგან იგი უკვე დაფარულია N18 რეკომენდაციის ფარგლებში. 3.2 კომპონენტის აღწერით ნაწილში ექსპერტებს წარმოდგენილი აქვთ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით მედიცინის ინგლისურენოვან და ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით მაშინ, როდესაც დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშში ცალსახად დააფიქსირა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არ გეგმავდა სტუდენტთა კვოტის გაზრდას და 4000 სტუდენტზე აკეთებდა ისევ განაცხადს, ხოლო მედიცინის პროგრამის შემთხვევაში 390 სტუდენტზე. 3.3. კომპონენტში მოცემულ მეთორმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას დაწესებულება მოიაზრებდა რჩევად, რადგან უნივერსიტეტს აქვს გაწერილი რეგულაციები და მუდმივად ცდილობს, რომ სწავლის შედეგები მკაფიოდ გასაგები გახადოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის. ალტე უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა წარმოადგენს სასწავლო პროცესის მქონე ერთ-ერთ მთავარ მიზანს და ვალდებულებას, რომელიც მყარდება შესაბამისი კარგად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიით. უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტების აკადემიური მოსწრების სემესტრულ შეფასებას, ისე სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდებს. ეს შეფასებები უწყვეტად მიმდინარეობს,

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ერთად წინასწარგანსაზღვრულ ვადებში. ამ შეფასებებით მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. ამის დასამტკიცებლად წარმოდგენილია პროგრამის ოქმები, რომლებშიც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი ანგარიშები საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის. ამავე კომპონენტში მოცემული მეცამეტე რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების რეალისტურად დაგეგმვას და პრაქტიკაში გამოყენებას. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია შესაძლოა ჩაითვალოს სასარგებლო რჩევად სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მეტად გაუმჯობესებისთვის. უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, როგორებიცაა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვა. ეს შეფასებები სისტემატურად ტარდება ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული, წინასწარ განსაზღვრული ვადების მიხედვით. ამავე კომპონენტის მეთოთხმეტე რეკომენდაცია ეხება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასების უწყვეტ პროცესად გახდომას და მის არ გადადებას 2-3 წლით. ეს რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს რჩევად და არა რეკომენდაციად. უნივერსიტეტის მიერ სწავლის შედეგების შეფასება შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში სტრუქტურირებული მიდგომის მიხედვით ხორციელდება. თითოეული პროგრამა გადის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდის მიხედვით შეფასებას. ახალი პროგრამებისთვის სწავლის შედეგების პირველი შეფასება ხდება პროგრამის სრული ციკლის პირველად დასრულების შემდეგ, ხოლო შემდეგი შეფასებები ტარდება ყოველწლიურად. ალტე უნივერსიტეტი იყენებს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაციას, მათ შორის სტუდენტების თვითშეფასებას, სტუდენტთა შენარჩუნების მაჩვენებლებს და საჭიროებისამებრ, დასაქმების შესახებ მონაცემებსა და პროგრესიის სტატისტიკას. ეს მეთოდები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას სხვადასხვა პროგრამის სწავლის შედეგებზე. ეს დაგეგმილი, პროაქტიული და სისტემური მიდგომა ნათლად წარმოაჩენს ალტე უნივერსიტეტის მიერ ზრუნვას ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან. ნინო ალავიძის თქმით, 3.2 და 3.3 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციების შესრულება არ საჭიროებს ერთ წელზე მეტ დროს. მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანმა, ქეთევან ჩახნაშვილმა 3.3 კომპონენტში მოცემულ მეთხუთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. მისი თქმით, რეკომენდაცია ეხება მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კრიტიკული უნარების სწავლის შედეგების გაზომვის 65%-ზე მაღალი სამიზნე დონის არსებობას. ეს ნიშნული ეხება რეალურად პროგრამის სილაბუსებში სწავლის შედეგების მიღწევის საერთო პროცენტულ მაჩვენებელს, კერძოდ, სტუდენტების რამდენმა პროცენტმა მიიღო მინიმალურზე მაღალი შეფასება. ნარატივში ნახსენები იყო ის, რომ ეს შეფასება „ოსკსაც“ მოიცავდა და არ ჩანდა 65%-იანი ნიშნული. მისი თქმით, პროგრამა შესაბამისობაშია დარგობრივი მოთხოვნების სტანდარტებთან. ყველა ის უნარი, რომელიც ეხება როგორც გადაუდებელ უნარებს, ისე ნებისმიერ უნარს, „ოსკის“ მეშვეობით ფასდება 100%-იანი შეფასებით. ე.ი. ან სრულდება ამოცანა, ან ვერ სრულდება. შესაბამისად, ჩეკლისტები „ოსკის“ გამოცდებისთვის ზუსტად ამ პრინციპებითაა მომზადებული. დაწესებულებას აქვს სხვადასხვანაირი პრინციპი „ოსკის“ სადგურების სტრუქტურიზების. ინტეგრირებული პროგრამიდან და მოდულური სწავლებიდან გამომდინარე სადგურზე შეიძლება იყოს ან არ იყო ისეთი დავალება, რომელიც 100%-იან შეფასებას მოიცავს. ამრიგად, ამ საკითხების გათვალისწინებით, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია ამოღებული უნდა იქნეს კომპონენტის შეფასებიდან. ნინო ალავიძემ განაცხადა, რომ 3.1 კომპონენტი უნდა შეიცვალოს შეფასებით სრული შესაბამისობით, ხოლო 3.2 და 3.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობით.

შპს ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ, 4.1 კომპონენტში მოცემულ მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი ეხებოდა უნივერსიტეტის მკაფიო აფილირების პოლიტიკის ჩამოყალიბებას და აფილირებული პერსონალის გაზრდას. მისი თქმით, ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს და ამ მიმართულების განვითარებისათვის უნივერსიტეტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ აღნიშნულ რეკომენდაციებს დაწესებულება იზიარებს. ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება პერსონალის ყველა წევრისთვის პროგრამის სასწავლო ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობას. უნივერსიტეტი აცნობიერებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული ადამიანის მიერ პროგრამის სწავლების ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარის მნიშვნელობას. უნივერსიტეტმა დააწესა ფორმალური პროცედურები ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებლად, რომლის მიხედვით, პერსონალს მოეთხოვება მათი ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სწავლების უფლების მიღებამდე. აპლიკანტებს მოეთხოვებათ შერჩევის პროცესში წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტაცია, რომლის ნიმუშები თანდართულია დანართის სახით. ამასთანავე, უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეაფასონ აკადემიურ პერსონალი. აქამდე არ ყოფილა რაიმე უკმაყოფილება ან უკუკავშირი, რომელიც მიუთითებდა პერსონალის ენობრივ ბარიერზე სასწავლო პროცესში. მეთვრამეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის პუბლიკაციები და კვლევებში ჩართულობა ყოველთვის იყო მთავარი მოთხოვნა პერსონალის აყვანის პროცესში. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით, პროფესორის აკადემიური პოზიციის დასაკავებლად პირს მოეთხოვება, რომ ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და 6 წლიანი კვლევითი გამოცდილება. ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში აუცილებელია 3 წლიანი კვლევითი გამოცდილება. დაწესებულებაში არსებობს სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშემწყობი დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს არაერთ მხარდამჭერ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწესებულება შეუერთდა კვლევის შეფასების განვითარების კოალიციას (CoARA), რომელიც მხარს უჭერს კვლევის შეფასების თანამედროვე, პასუხისმგებლიან მიდგომებს. ამ ჩარჩოს ფარგლებში უნივერსიტეტი მნიშვნელოვან წონას ანიჭებს არა მხოლოდ ტრადიციულ საზომებს, როგორიცაა პუბლიკაციების რაოდენობა, არამედ კონტრიბუციების უფრო ფართო სპექტრს.

მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულების ვიცე პრეზიდენტმა, ანი ამირანაშვილმა, 5.1 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის პარალელურად ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ. ის კონკრეტული სტუდენტები, რომლებიც მოხვდნენ ინტერვიუს დროს, არ ფლობდნენ სრულფასოვნად აღნიშნულ ინფორმაციას, თუმცა ის მრავალი არხი, რომელიც გამოიყენება სტუდენტის ინფორმირებისთვის, არის ეფექტური. მასში შედის ისეთი საკომუნიკაციო არხები, რომლებიც გულისხმობს წერილობით კომუნიკაციას და პირდაპირ შეხვედრებს სტუდენტებთან. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტების უფლებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია როგორც ვებ-გვერდზე, ისე „Emis"-ის შიდა პლატფორმაზე, დაწესებულებას დანერგილი აქვს ე.წ. „Onboarding" სესიები სტუდენტებისთვის ყოველი სემესტრის დასაწყისისთვის, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობას სტუდენტებისთვის, მათ შორის, იმ უფლებების შესახებ, რომელიც მათ გააჩნიათ. უნივერსიტეტმა ამის დასამტკიცებლად წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელშიც ნათლად ჩანდა სტუდენტებისთვის მათი უფლებების გაცნობის ფაქტი. ამრიგად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს უფრო რჩევად, ვიდრე რეკომენდაციად.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა, თორნიკე ბაქაქურმა, 5.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ალტე უნივერსიტეტმა დაამტკიცა ინტერნაციონალიზაციის განახლებული პოლიტიკა, რომელიც

„KPI“ სამიზნე ნიშნულებს მოიცავს მომდევნო სამი წლის დაფარვით. ის არის ყოვლისმომცველი და ფარავს უნივერსიტეტის სამივე მისიას. არის რეალისტური და გაზომვადი. მან აღნიშნა, რომ გაიზარდა ინტერნაციონალიზაციისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი. მხოლოდ ამ წლისთვის ის უკვე გაორმაგდა აკადემიური წლისთვის და შემდგომი პროპორციული ზრდა იგეგმება „KPI“ სისტემის მომდევნო წლების მსვლელობასთან ერთად. დაწესებულება შეუერთდა საერთაშორისო განათლების ევროპულ ქსელს. აქტიურ პარტნიორთა რიცხვი ამ მცირე ხნის მანძილზე გაიზარდა ოციდან ორმოცამდე. ბოლო ერთი კვირის მანძილზე კი ორმოცდაათამდე. ამ კვირაში დაემატა „საპენსას უნივერსიტეტი“, „ვისეუს უნივერსიტეტი“, „ათენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი“ და სხვა. მისი თქმით, ახალი თანამშრომლობების ფარგლებში მიმდინარეობს „Erasmus+“-ის შეთანხმებები მემორანდუმების პარალელურად და მომდევნო სექტემბრისთვის გაცვლით პროგრამებში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა მინიმუმ გასამმაგდება. ყველა ახალ პარტნიორთან დადებული მემორანდუმი მოიაზრებს, მათ შორის, კვლევით სფეროში თანამშრომლობას, ერთობლივ პროგრამებზე მუშობას. კვლევის ხარისხის შეფასების ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი გახდა „კვარას“ ხელმომწერი ოფიციალურად. პარტნიორთა რიცხვის ზრდასთან ერთად დაწესებულება ერთიანდება ევროპულ და მსოფლიო ასოციაციებში, კერძოდ, აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ასოციაციაში, სამედიცინო სიმულაციების ქსელში და სხვა. მათი წევრობა მოიაზრებს აგრეთვე საერთაშორისო კვლევითი შესაძლებლობების ზრდას. „Horizon“ ჩარჩოს ფარგლებში უნივერსიტეტი მონაწილეობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ევროპული ინსტიტუტის „EIET“ კონკურსში ფარგლებში. ამ მხრივ დაწესებულება გაწევრიანდა „კონსორციუმში“ პოზნანისა და ტურკუს უნივერსიტეტებთან ერთად. ამჟამად დაწესებულება არის მეორე კონსორციუმში გაწევრიანების პრეტენდენტი. დაწყებულია მოლაპარაკებები ბრიტანულ უნივერსიტეტთან ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაზე. პარალელურად იდენტიფიცირებული არიან ახლი პარტნიორები ლატვიიდან, ესპანეთიდან და პოლონეთიდან, რომლებმაც გამოხატეს ინტერესი ერთობლივ პროგრამებზე სამუშაოდ. რაც შეეხება ინსტიტუციური სისტემების ვალიდაციის ეროვნული აღიარების კუთხით განხორციელებულ წინსვლას, უნივერსიტეტი უკვე კონტაქტზეა ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის, ეგვიპტესთან, ჩინეთთან, ირანთან და სხვა არაერთ ქვეყანასთან, რათა სისტემური ვალიდაცია და ოფიციალურ დონეზე უნივერსიტეტის აღიარება მოხდეს. გარდა ამისა, დაწესებულებას დაწყებული აქვს მოლაპარაკება გერმანულ სააგენტოსთან საერთაშორისო აკრედიტაციების მისაღებად. ამრიგად, ეს არის ის მცირე აღწერა წინსვლის, რომელიც განხორციელდა რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. შპს ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო ალავიძემ, 6.1 კომპონენტში მოცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ალტე უნივერსიტეტი აცნობიერებს პროფესორ-მასწავლებლების განვითარებისა და პროფესიული განვითარების მძლავრი პროგრამების განხორციელების მნიშვნელობას, რომლებიც ორიენტირებულია კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე. ამ კუთხით 2023-24 წლებში უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლის დეტალები მიწოდებული იყო ავტორიზაციის ვიზიტის დროს ექსპერტებისთვის, მათ შორის განხორციელებული პროფესიული განვითარების აქტივობების ჩამონათვალი. მისი თქმით, წელს უნივერსიტეტმა უმასპინძლა პერსონალის განმავითარებელ არაერთ აქტივობას. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივობა ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო სივრცეში და დარგობრივად სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. გარდა ამისა, მედიცინის მიმართულებით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ პერსონალის გადამზადების საკითხს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მედიცინის სკოლაში არსებობს ტრენინგ ცენტრის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს მედიცინის მიმართულებით პერსონალის გადამზადების საკითხს. მან აღნიშნა, რომ 6.1 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი სრულად იზიარებდა.

შპს ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ მეშვიდე კომპონენტთა დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება უნივერსიტეტში მუდმივი პროცესია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის ნებისმიერ ერთეულში, მათ შორის საავადმყოფოს სივრცეში წინასწარი სარემონტო სამუშაოების, სასწავლო პროცესის პერიოდების გათვალისწინებით და მათთან გადაფარვის გარეშე დაგეგმვას. ამ რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია იმან, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს ბოკერიას სახელობის აფილირებულ კლინიკაში რემონტი მიმდინარეობდა. შესაბამისად, მათი მხრიდან კითხვის ნიშანი გაჩნდა მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად მოესწრებოდა რემონტის დამთავრება სწავლის პროცესის დაწყებამდე. მისი თქმით, რემონტი დამთავრდა და სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამრიგად, უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციას არ იზიარებს. ასევე რეკომენდაცია გაიცა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სიები ვებ-გვერდზე უკვე ატვირთულია, თუმცა ბიოგრაფიების და ფოტოსესიების პროცესი დღესაც მიმდინარეობს. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს შეიძლება იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის“ ბოლო ვერსია 2022 წლის ნოემბერში დამტკიცდა. ის იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პროფესიული აქტივობების, რომლებიც ითვლება ერთ-ერთ თანამედროვე მიდგომად, პროგრამაში არსებობა გააუმჯობესებს სწავლებისა და შეფასების ხარისხს, განსაკუთრებით პოსტ-დიპლომურ ეტაპზე. მისი თქმით, „EPA - Entrustable Professional Activities/მინდობილი საექიმო საქმიანობა“ რამდენიმე წელია ინერგება მსოფლიოში, რომელიც წარმოადგნეს პესრონალიზებული მედიცინის მსგავს მიდგომას სამედიცინო განათლებაში. მისი თქმით, „EPA“-ის დანერგვა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რისთვისაც საჭიროა როგორც საკანონმდებლო ცვლილები ისე ადგილზე „Workplace Based Assessment“-ის ყველა კომპონენტის გათვალისწინება. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა არსებობს, რომელმაც ეროვნულ სტანდარტებში დანერგა აღნიშნული. მისი თქმით, დაწესებულებას სამუშაოს ადგილზე შეფასებად მოცემული აქვს „Bedside Teaching”-ი. მას აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს სტუდენტის სამუშაო ადგილზე შეფასების სხვა მეთოდები დანერგილი. OSCE-ს შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუ დაწესებულება იყენებს „Pass/Fail“-ს, მაშინ სტუდენტი გარკვეული ტიპის დავალების (მაგალითად, წნევის გაზომვა, რომელიც სავალდებულოა ყველა სტუდენტმა 100% შეასრულოს) შეუსრულებლობისთვის ყველა სადგურიდან უნდა მოიხსნას.

მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანმა, ქეთევან ჩახნაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მოსაზრება პირდაპირ ემთხვეოდა იმ რეალობას, რომელიც შპს ალტე უნივერსიტეტში იყო. მისი თქმით, უნივერსიტეტი „EPA“-ს განვითარებისათვის სიამოვნებით ჩაერთვება ქ-ნი გაიანე სიმონიას ორგანიზებულ ტრენინგებში. „OSCE“-ი არის იმ პრინციპით დანერგილი, რომელიც უკვე აღინიშნა. დაწესებულებამ უკვე დანერგა ის თუ როგორ შეიძლება ადგილზე მოხდეს სხვადასხვა შეფასების მეთოდების იმპლემენტაცია. პირველ რიგში დაგეგმილია ტრენინგები კლინიკური საგნების განმახორციელებელი პერსონალისთვის აღნიშნული მეთოდოლოგიის უფრო მეტად გათავისების მიზნით. „Bedside Teaching”-ი მედიცინის პროგრამაში აქტიურად ისწავლება, ხოლო „DOPS“-ი მეტ-ნაკლებად იმისდა მიხედვით თუ ვის როგორი გამოცდილება აქვს.

მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა, ეკა აბჟანდაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტის შეფასება ხდებოდა „Pass/Fail“-ის პრინციპით. „OSCE“-ის ნაწილში, კერძოდ, კლინიკური უნარების ნაწილში სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს 100%-ით ის კლინიკური უნარი, რომელიც მას

შემდეგ სადგურზე გადაიყვანს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული 65%-ი ეხებოდა სტუდენტის იმ მთლიან რაოდენობას, რომელსაც უნდა გადაელახა სწავლის შედეგი კურსის განხორციელების ბოლოს.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, მესამე სტანდარტის 3.3 ქვესტანდარტის აღწერილობითი ნაწილი არსებითად წარმოდგენილია მედიცინის სკოლის პროგრამებით. მას აინტერესებდა, უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ დანარჩენ 12 პროგრამასთან ამ ქვესტანდარტში არ არსებობდა შენიშვნები. მან აღნიშნა, რომ არსებობს სტანდარტის მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობის დაწერისას გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპი. მას აინტერესებდა, ამ პრინციპის შესაბამისად რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ 3.3 ქვესტანდარტში გაცემული რეკომენდაციების შესრულებას ერთ წელზე მეტი ვადა დასჭირდებოდა დაწესებულების მხრიდან.
საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, დაწესებულებას გარდა სამედიცინო პროგრამისა რომელ პროგრამებზე ჰყავდა უცხოელი სტუდენტები.
მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულების ვიცე პრეზიდენტმა, ანი ამირანაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტები ჰყავდა „მედიცინის“, „სტომატოლოგიისა“ და „კომპიუტერული მეცნიერებების“ პროგრამებზე.
ექსპერტმა ქეთევან კანკავამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების აღქმა და დამოკიდებულება საუნივერსიტეტო სივრცეში გასაუმჯობესებელია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ დაწესებულებამ ინტენსიური სამუშაო უნდა ჩაატაროს როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის ინფორმირების თვალსაზრისით. შესაბამისად, ამის განსახორციელებლად არ არის საკმარისი ერთი წელი. ამ ეტაპზე ზოგიერთი მეთოდი გარკვეული პროგრამის შეფასებისთვის ოპტიმალური არ არის. შესაბამისად, ამის განხორციელებასაც ერთი წელი არ ეყოფა. მისი თქმით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა 65%-ით და 70%-ით სწავლის შედეგზე გასასვლელად ისეთი კომპლექსური პროგრამისთვის, როგორიც „მედიცინაა“ საკმაოდ დაბალია.
ეკა აბჟანდაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის აღება განპირობებული იყო ლავირების შესაძლებლობის მიზნით. რა თქმა უნდა, ამის გადაფასება მოხდება მაშინვე, როდესაც ამის საშუალება იქნება.
ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ სხვა პროგრამების არშეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნის ნაწილში აღმოჩნდა მხოლოდ ის პროგრამა, რომელიც გასაუმჯობესებელი იყო.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების ნუმერაცია არ ემთხვევა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული რეკომენდაციების ნუმერაციას. მან ცენტრის და დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოესწორებინათ ეს ხარვეზი და შესწორებული ვარიანტი გაეზიარებინათ ავტორიზაციის საბჭოსთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა 3.2 და 3.3 კომპონენტებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პოზიცია არ გაიზიარა. მას აინტერესებდა, რა აზრის იყო უნივერსიტეტი ამ საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტები, ასევე ინსტიტუცია აღნიშნავს, რომ რეკომენდაციაში დასახელებული 65%-ი არ იყო არანაირ კავშირში „OSCE“-თან. სავარაუდოდ, ეს ეხება სწავლის შედეგების რუკას და მასში დაფიქსირებულ პროცენტს. მას აინტერესებდა, დასასახელებული 65% პროცენტი სწავლის შედეგების რუკაში სხვადასხვა საგნების მიმართ მინიმალური იყო თუ მაქსიმალური. ასევე სად ხორციელდებოდა „Workplace Based Assessment“-ი.
მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანმა, ქეთევან ჩახნაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ექსპერტების უკუკავშირისა, დაწესებულება რიგ საკითხებზე საკუთარ პოზიციაზე რჩება, თუმცა ნამდვილად არსებობს ისეთი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც უნივერსიტეტისა და პროგრამების განვითარებაზეა ორიენტირებული. „EPA“-ს განვითარებისათვის დაწესებულებაში დაწყებულია პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება.

კლერკშიპის საფეხურზე მეთორმეტე სემესტრში მოხდება ამის იმპლემენტაცია, რომელიც თანდათანობით შემდეგ გავრცელდება სხვადასხვა სემესტრებშიც. Workplace Based Assessment“-ი ამჟამად არ ხორციელდება.
ეკა აბჟანდაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც წარმოდგენილია მოდულების ჩამონათვალი და განმარტება იმის შესახებ თუ რომელი მოდული როგორ გადის კონკრეტული სწავლის შედეგზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ეფექტურად განხორციელებას. საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, სამედიცინო სკოლაში მოქმედი ორი პროგრამა არის რეგულირებადი მიმართულება. მედიცინის სკოლაში 280 სამედიცინო პერსონალიდან რამდენიმე არის უცხოენოვანი პროფესორი. როგორც ცნობილია, უცხოენოვან პროფესორებს სჭირდებათ დიპლომის აღიარება ცენტრში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული არ არის არც კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და არც ინგლისურ ენაზე შესრულებული CV. ასევე მისი თქმით, წარმოდგენილ CV არაა ასახული დარგობრივი დოკუმენტით გათვლისწინებული მოთხოვნები-კერძოდ ლექტორების გადამზადება ყოველ ორ წელიწადში სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, მან აღნიშნა, რომ შესაძლოა ინსტიტუცია ამ კუთხით მუშაობს და სთხოვა მათ მისთვის მიეთითებინათ თუ რომელ ფლდერში იყო მოთავსებული შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე მისი თქმით, ერთ-ერთი აკადემიური პერსონალის დოკუმენტში მოცემული იყო სხვა ადამიანის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პროფესორის CV-ში აღნიშნული იყო, რომ მას ზოგადი მედდის კვალიფიკაცია ჰქონდა 1996 წელს მინიჭებული. ამავე რეზიუმეში მითითებული იყო, რომ მან ჟვანიას პედიატრიული კლინიკაში გაიარა სრული ოთხი კურსი. თუმცა გაურკვეველია მინიჭებული კვალიფიკაცია, ის დაინტერესდა ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა თუ არა რამდენად არის შესაძლებელი პროფესიული დონის (მეხუთე დონე) განათლების მქონე პიროვნებამ, სწავლება განახორციელოს სწავლების სამაგისტრო დონეზე (მეშვიდე დონე) რაც არ უნდა საბაზისო სასწავლო კურსს ახორციელებდეს ინსტიტუცია. მისი თქმით, გაზიარებული მემორანდუმები არ არის განახლებული. მასში არ არის სასწავლო კურსი, ხანგრძლივობა და ა.შ. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
ქეთევან ჩახნაშვილმა აღნიშნა, რომ ის ექიმი, რომელსაც უწერია კვალიფიკაციად ტრანსპლანტოლოგი, იყო ბოკერიას საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი და ლიცენზია საქართველოში აქვს აღიარებული. ასევე იმ პროფესორს, რომელსაც საბჭოს წევრი გულისხმობს, აქვს ზოგადი ექიმის დიპლომი და მეცნიერების მიმართულებით არის წასული, რომელიც საბაზისო სწავლების საფეხურზე არის ჩართული და მას არ სჭირდება დიპლომის აღიარება იმიტომ, რომ ის არ ასწავლის კლინიკურ საფეხურზე კლინიკურ დისციპლინებს. რაც შეეხება ქალბატონს, რომელსაც საბჭოს წევრი გულისხმობდა, არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექთანი და მათ შორის ექსპერტი ბევრი მიმართულებით. ის ჩართულია სასწავლო პროცესში მხოლოდ მისი კომპეტენციით, კერძოდ, იქ, სადაც მას აშშ-ის ასოციაციით აქვს მინიჭებული სწავლების უფლება და ასწავლის მხოლოდ საექთნო მიმართულების საგნებს. შესაბამისად, ამ მხრივ პრობლემა არ დგას.
შპს ალტე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო ალავიძე განაცხადა, რომ ავტორიზაციის დამატებითი დოკუმენტაციის ფარგლებში, კერძოდ, მეჩვიდმეტე დანართში მოცემულია სამი მემორანდუმი, რომელშიც გაწერილია სასწავლო კურსის დასახელება, მისი ხანგრძლივობა და ა.შ. ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი ნანახი ჰქონდა და ამ სამი მემორანდუმის გარდა არცერთ მემორანდუმში არ იყო დაზუსტებული ეს საკითხები. საბჭოს წევრმა, ლევან მიდოდაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 3.3 ქვესტანდარტში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში ეს საკითხი სხვა კუთხიდან არის შეფასებული,

კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების კუთხით, რომელიც აკრედიტაციის სტანდარტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.
ექსპერტმა ქეთევან კანკავამ აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაში 3.3 სტანდარტის აღწერილობით ნაწილში მოცემულია პროგრამის სწავლების შედეგების შეფასება, მისი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები და რამდენად შეესაბამება ეს იმ პროგრამებს, რომლებიც ავტორიზაციის დროს შემოწმდა. ეს არის ამ სტანდარტის შინაარსიც, ე.ი. სწავლის შედეგების შეფასება და არა სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები. შესაბამისად, ამას შეესაბამება აღწერილობაც და გამოტანილი დასკვნებიც.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 17:55
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ალტე უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4000 განსაზღვრის საკითხი, მათ შორის მედიცინის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განისაზღვრა - 540 სტუდენტით, ხოლო მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 1800 სტუდენტით.

კენჭისყრისშედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 3
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1^1 პუნქტი ს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტს (ს/კ: 202192643) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს განისაზღვროს 4000-ით, მათ შორის მედიცინის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს - 540 სტუდენტით, ხოლო მედიცინის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე -1800 სტუდენტით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 02 დეკემბერს.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ: მე - 3 სტანდარტის 3.2 და 3.3 კომპონენტები ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" მიიჩნია, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან", ვინაიდან ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები მიემართებოდა მხოლოდ მედიცინის და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს, დაწესებულება კი მთლიანობაში ახორციელებს 14 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად საბჭომ მთლიანობაში მე - 3 სტანდარტი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნიდან ამოიღო შემდეგი რეკომენდაციები:

- „რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის მე - 12 სემესტრში დაინერგოს სანდო პროფესიული აქტივობების (EPAs) შეფასება, როგორც კლინიკურ როტაციებში სტუდენტების მიღწევების გაზომვის უმთავრესი საშუალება;"
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურ პერსონალმა შეძლონ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია (ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის სტუდენტების სწავლების ენას);
- რეკომენდებულია, მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში კლინიკური უნარების სწავლის შედეგების გაზომვის სამიზნე დონე იყოს 65%-ზე მაღალი.

რჩევაში გადაიტანა რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი"

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს შეთავაზებული ყოვლისმომცველი მონიტორინგის და შეფასების სისტემის სრული განხორციელება, რომელიც თვალს ადევნებს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების პროგრესს და ითვალისწინებს რეგულარულ განხილვებს, წლიურ ანგარიშებს და კორექტირებებს, რათა დროთა განმავლობაში უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების რელევანტურობა და მიღწევადობა;
- რეკომენდებულია, ალტე უნივერსიტეტმა უფრო ძლიერი აქცენტი გააკეთოს კვლევასა და ინოვაციებზე, ქვეყანაში წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უფრო ამბიციური კვლევითი მიზნების დასახვას, კვლევების დაფინანსების უზრუნველყოფას და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობის ჩამოყალიბებას;
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს აკადემიური გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობა ისეთი ზომების განხორციელებით, რომლებიც შეამცირებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს პრეზიდენტის როლსა და აკადემიურ საბჭოში მის უშუალო ჩართულობას შორის;
- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის ციკლის დახურვის უზრუნველყოფა ანგარიშგებით, კერძოდ, კონკრეტული აკადემიური წლის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშში წინა წლის გასაუმჯობესებელი მხარეების გადასაჭრელად გაწეული სამუშაოების ეფექტურობის ასახვა;
- რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების სწავლის შედეგების გადახედვა ტექნიკური ასპექტის და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების მიზნების გადახედვა პროგრამის ფართო ხასიათის დაფარვის მიზნით, მათ შორის სწავლება - სწავლის, გავრცელების და საზოგადოებრივი სერვისების ჩათვლით;
- რეკომენდებულია, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) და მედიცინის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ინგლისურენოვანი კატალოგების უზრუნველყოფა;

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგები განხილული იყოს როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა და მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის მათი წარდგენა გაზომვადი მიზნის სახით;
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების რეალისტურად დაგეგმვა და პრაქტიკაში გამოყენება;
- რეკომენდებულია, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგების შეფასება იყოს უწყვეტი პროცესი და არ გადაიდოს 2-3 წლით;
- რეკომენდებულია, კვლევითი პროფილის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს მკაფიო, დეტალური აფილირების პოლიტიკის ჩამოყალიბება, კვლევის და გამოქვეყნებების აქტივობებისთვის სპეციფიკური წამახალისებელი მექანიზმებით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად გაზარდოს აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური შედეგების გასაძლიერებლად, აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ფართო აკადემიურ საზოგადოებაში რეპუტაციის ასამაღლებლად;
- რეკომენდებულია, რომ პერსონალის ყველა წევრს შეეძლოს პროგრამის სასწავლო ენაზე კომუნიკაცია;
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის შერჩევისას, დოქტორის ხარისხის და გამოცდილების გარდა, მხედველობაში იყოს მიღებული პუბლიკაციების ჩამონათვალი და აკადემიურ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი, როგორც პოზიციისთვის თითოეული კანდიდატის შესაბამისობის ძირითადი მაჩვენებელი;
- რეკომენდებულია, დაინერგოს აქტივობები და მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების ინფორმირებას სკოლის საბჭოში და აკადემიურ საბჭოში მონაწილეობის უფლების, მათ შორის არჩევნების პროცედურების და აღნიშნული უფლების მნიშვნელობის შესახებ;
- რეკომენდებულია, საერთაშორისო პარტნიორობის და გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდის და გამრავალფეროვნების გზით, არსებული პროექტების მიღმა, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობა;
- რეკომენდებულია, საერთაშორისო კვლევების მხარდაჭერის გაძლიერება, საერთაშორისო კვლევითი პროექტების და თანამშრომლობის დაფინანსების გაფართოებით, მათ შორის გრანტების გამოყოფა, რომლებიც სპეციალურად მიმართული იქნება გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობაზე;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის განვითარების ინიციატივები და განხორციელდეს უფრო მძლავრი პროფესიული განვითარების პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იქნება აკადემიური პერსონალის კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებაზე;
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს სტანდარტული ზომის სკამები ზრდასრულებისთვის;
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს გაგრილების სისტემა;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ნებისმიერ ერთეულში, მათ შორის საავადმყოფოს სივრცეში წინასწარ დაიგეგმოს სარემონტო სამუშაოები, სასწავლო პროცესის პერიოდების გათვალისწინებით და მათთან გადაფარვის გარეშე;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესახებ

რჩევები:

- სასურველია სტომატოლოგიური ფანტომის თავები განთავსდეს უფრო დიდ სივრცეში და უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული თავების საკმარისი რაოდენობა. ასევე, შეიზღუდოს

თითოეულ ფანტომზე მომუშავე სტუდენტების რაოდენობა ერთ სტუდენტამდე კონკრეტულ დროში, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაეხმაროს სხვა სტუდენტი;

- სასურველია, მისიის გაძლიერება მასში მკაფიო, გაზომვადი აკადემიური მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის მისწრაფებებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მიზნებს, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა კმაყოფილებას, საერთაშორისო თანამშრომლობას, დასაქმების მაჩვენებლებს, კვლევით შედეგებს და ინოვაციურ საზომებს;
- სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევით სრულყოფილებაზე, კვლევითი პროდუქტიულობის, აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებების და საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტული მიზნების დასახვით;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს რესურსების განაწილების დეტალური გეგმა, რომელიც თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან დააკავშირებს ფინანსურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სიცხადეს იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს დაწესებულება თავისი მიზნების მიღწევას და რესურსების ეფექტურ განაწილებას;
- სასურველია, საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომებში გაიზარდოს აკადემიური მიმართულების ვიცე - პრეზიდენტის ჩართულობა, იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსპექტივების სათანადოდ წარმოდგენა;
- სასურველია, საქმიანობების და შეფასების მექანიზმების, სტრატეგიული დოკუმენტების და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა თანმიმდევრულობის და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სასურველია, საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება და გამსვლელი და შემომსვლელი სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის მობილობის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაძლიერება უფრო სპეციფიკური, მიზნობრივი ქმედებების დანერგვით, რომლებიც უკავშირდება კვლევას, საერთაშორისო აკრედიტაციებს, ერთობლივ პროგრამებს და სხვა ინიციატივებს უნივერსიტეტის სხვადასხვა დონეზე; აღნიშნული ძალისხმევის გაძლიერებით ფართო ინსტიტუციური მიზნების მხარდაჭერა;
- სასურველია, ხარისხის ანგარიშების იმგვარად ფორმალიზება, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს, თუ რა არის უკვე გამოსწორებული და რა საკითხები უნდა გადაიჭრას კურსის, პროგრამის და ინსტიტუციის დონეზე;
- სასურველია, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვებოდეს სასწავლო კურსის ეფექტურობის ანგარიშების მომზადება, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის ეფექტურობის ანგარიშების მომზადება, რაც სისტემურად უზრუნველყოფს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშის მომზადებას;
- სასურველია, სტომატოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ იყოს ინიცირებული ციფრული სტომატოლოგიის ასპექტები;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ახლად დაარსებული სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის და მისი ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კერძოდ, განახორციელოს ყოვლისმომცველი საინფორმაციო კამპანია სტუდენტთა ომბუდსმენის როლის და ფუნქციების შესახებ სტუდენტების ინფორმირების მიზნით;
- სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მიზნობრივი სტრატეგიები კვალიფიკაციასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, რომლებშიც დაბალია დარგის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებლები, ასევე გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის სერვისები, დარგის შესაბამის დასაქმების შესაძლებლობებზე კონკრეტული აქცენტის გაკეთებით;

- სასურველია, ალტე უნივერსიტეტმა შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები როგორც შეთავაზებული საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, ასევე აღნიშნულ პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ, განახორციელოს ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი, გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები და განახორციელოს მიზნობრივი ღონისძიებები ამ სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად და შედეგების გასაუმჯობესებლად;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის ჩართულობით ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი პროექტების წახალისება და მხარდაჭერა;
- სასურველია, კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება და თითოეული სტუდენტის საგანმანათლებლო გამოცდილების გასამდიდრებლად და აკადემიური განვითარების ხელშესაწყობად საერთაშორისო შესაძლებლობების გამოყენება;
- სასურველია, ციფრული რესურსების და წვდომის გაფართოება დამატებით ელექტრონულ საბიბლიოთეკო პლატფორმებთან პარტნიორობით, როგორიც არის JSTOR ან EBSCO, რაც სასარგებლო იქნება აკადემიური დისციპლინების უფრო ფართო სპექტრისთვის;
- სასურველია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება;
- სასურველია, ადამიანური რესურსების მართვის და სტრატეგიული მონიტორინგის სრულმასშტაბიანი სისტემის დანერგვა.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:00 სთ - ზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი